

ჩემი კარგი ნაცნობი.

უზომო სიხარულით ავსო ჩემი გული გუშინ წინ დათიკო ჟურნალის შეგვედრამ.

— კაცო, როგორ დამაშტერდი? ვერ მიცანი? ჩვეულებრივი ტუბილი ღიმილით მკითხა დათიკომ.

— არც ისე მოგხუტებულვარ, რომ ერთ წელიწადში ნაცნობი გადამავიწყდეს. — დინჯაა მკეუ-გე მე.

— კარგი მოზრდილი წელიწადი გცოდნიათ თქვენს ჯოჯოხეთში!

— ვითომ და არტომია?

— რატომ და იმისთვის, რომ ჩვენ უკანასკნელად ერთმანეთი 1908 წელს ვნახეთ.

— მე კი ისე მგონია, თითქო გუშინ იყო ჩვენ რომ აი აქ, გოლოვინის ქუჩაზე დავსეირნობდით.

— გოლოვინის ქუჩაზე?

— ჰო, აი სწორეთ ამ ალაგობას იყო მგონია.

— შე დღეს პირველათ ჩამოვედი თფილისში.

კიდევაც მრცხვენოდა, 23 წლის კაცი ვიყავი და ჩემი დედა-ქალაქი არ მენახა. მოკვირს შენ შარშან როგორ ისეირნე ჩემთან გოლოვინის ქუჩაზე!

— ამ ომში მთელი ქვეყანა არივ-ღარია და მე რომ ამერიკოს ჩვენება ვანა დიდი საქმე იქნება? ალბათ ქუთაისში ვნახე. მაგრამ ვანა ეგ სულერთი არ არის. შენ ის მითხარი: საიდან ჩამოინავარდე, როგორ ცხოვრობ, შენი ძმა რასა იქს?

— რომელ ძმაზე მეუბნები... მამა ჩემი იმით იყო შესანიშნავი კაცი, რომ ექვსი ქალიპყაუდა და ერთი ვაჟი. ეს ერთი კი მე ვარ.

— მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ რამოდენიმე ძმა გყავდა. მაშ ვინ იყო ის ყმაწვლილი, რომელიც ისე გიჯავრდებოდა გიმნაზიდან გამო-რიცხვის დროს. წარმოიდგინე ეკვიც არ შემსვლია, რომ ის მკვიდრი ძმა იყო შენი.

— დასამალი არაფერია, მაგრამ მკვიდრი ძმაც რო მყოლოდა ვერაფერ დარიგებას ვერ მომცემდა გიმნაზიის მიტოვებისათვის, ვინაიდან მე გიმნაზიის კარებიც კი არ მინახავს არასოდეს.

— დასწყველოს ღმერთმა! მაშ საიდან მახსოვს ასე კარგათ ეს ამბავი. მაგონდება შენ კიდევაც ვაცხარებით უთხარი მას: — მამა ჩემი არაფერს მეუბნება და ვისი მატრაკვეცი ხარო...

— საუბედუროთ მამა არც მახსოვს. ხუთი თვისი ვყოფილიყავი, როცა ჩილიდან გადავარდნილიყო და ლანქერს დაეხარო. წარმოიდგინე გვაპიც ვერ იპოვეს თურმე.

— საცოდავი! მთვრალი ხომ არა ყოფილა? ახირებული ხიდდები კი იციან ჩვენში თქვენი სოფელი მაინც ყველაზე უფრო უნუგემო მდგომარეობაშია ამ მხრივ. რა ღმერთი გაუწყრა იმოდენა სოფელს, რომ იმ სამშობო მდინარეზე ერთი საფარგისი ხიდი ვერ გასდო!

— დამცინი, თუ როგორ არის საქმე? ცოტა ნაწყენი კილოთი შეგემკითხა ჩემი მოსაუბრე. — კაცო ჩვენს სოფელს სასმელი წყალი სამი-ოთხი ვერსიდან მოაქვს და მდინარე ხომ ათ-ხუთმეტ ვერსზე ახლო არსად ჩამოუღის!

— მაშ სად წავიდა თავის დასახნობათ ცხოვრებული თედორე, მამაშენი? აკი ამბობ ხიდიდან გადავარდოა.

— ვინ თედორე? მამა ჩემს ბეგლარი ერქვა

— სულერთია თედორე, ბეგლარი... რა ვანსხვავებაა.

— თავის დასახნობათ როდი წასულა, გზად მიმავალი უცაბედლთ დაიხარო.

— აჰაა! ასე ვიტყვოდი შე კი კაცო!

უკაცრავად... მშვიდობით! ცოტა მიმეჩქარება. სიღვრეზე როი საათით აღდრე თუ არ მიდი ბილეთს ვერც იშოვო.

— როგორ? დღეს მიღიხარ?

— დაახ. ვიყიდე რაც მქონდა დაბარებული და რაღა გავაკეთო. მშვიდობით!

— მშვიდობით მეზავრობას გისურვებ! მოკითხვა თქვენებს!

— ჩვენებს? ერთი ჯორი მყავს ოჯახში და იმას მგონი არ იცნობს თუ კიმკიმეთისკენ ჩამო-იარო უნახავს ნუ დამტოვებ. ვისაც ჰკითხავ სიმონ ფხიკაძის ლუქასს ყველა მოგასწავლის.

ჩემი მეგობარი წავიდა და მე კიდევ კარგა ხანს ვიდექი „მშურის ნუგეზის“ წინ ქაღარს ქვეშ ღრმად ჩაფიქრებული.

— ცხადია, ეს დათიკო ჟურნალე არა ყოფილა!

ეშმაკი.



ღურგულ სანდრუას ჩივილი.

სწორეთ რომ გითხრა საცირველია...

ეს ჩენი ხალხი ისე ბნელია,
რომ ვერ ატყობენ ვინც კი მგელია.
ვირის საფლავი მგლის მუცელია.

მიველ ხაბაზთან, ვყიდულობ პურსა,
და თან ვაწოდებ მას სამ შაურსა.
კიდეც ცომაი, თონე კი ხურსა.
ვაშობო: ამ ოხერს შეშა თუ შურსა.
ამასთანავე აკლია წონა,
ორი გირვანქა მე რომ მგვონა.
ამასლა ვფიქრობ: — უშაპველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

მიველ ყსაბთან, ვიყიდე ხორცი.
აქაც დამიხვდა სხვა ვასაოცი...
მუსუქანს მიჩენებს, ვითა სალოცი,
ძველებით გამიყსო კი ხელნახოცი.
ამასთან ნახებზე მეტს მახსდევინებს,
სათქმელსა სიტყვას არ მათქმევინებს.
ამასლა ვფიქრობ: — უშაპველია:
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

მიველ „ოლაფთან“. ვყიდულობ ხახვსა,
მასალა არის, სჭირდება სახლსა.
მამღვეს. თან ატანს ნავეც ტალახსა
სინდისი არ სწამს იმ გასალახსა.
ამასთანავე მამღვეს რომ წონას
ფასს მახსდევინებს ათჯერ იმტრანსა...
ამასლა ვფიქრობ: — უშაპველია,
— ვირის საფლავი მგლის მუცელია!

მიველ „ქოსებთან“, ვიყიდე ყველი...
ვით სჯობს ყაჩალი ან გამცარცველი?
ფასი როგორ ვსთქვა, არ არს სათქმელი,
აქაც კი გავხდი მგლის შესაქმელი.
როს ვადვიხადე ოთხი ავაზი
სულ დამივიწყდა ყსაბ-ხაბაზი...
ამასლა ვფიქრობ: — უშაპველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

მიველ ბაყალთან, ვთხოვე მწვანელი...
შაური, ნახა მორათო სიცილი...
ვისვანა ხარო გამოგზავნილი?
(დარდანილიდან აქვს მოტანილი)...

ერთი შაურის რა გერგებაო
ორ შაურ ნაკლებ არ იქნებაო...
ამასლა ვფიქრობ: — უშაპველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

როს ვაგვითავდა სახლში შაქარი,
წიველ, მოვენახე მისი ვაჭარი...
ესეც გამოდგა გაუმადარი.
ფასი რომ მითხრა, დამეცა ხარი.
გირვანქა ღირსო ექვსი შაური,
მხოლოდ არ დანძრა არსად ხაური.
ამასლა ვფიქრობ: — უშაპველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

ღვინის სწყუბოში ვიყიდე ღვინო
გადაცრა, გული ავალიღინო...
სველა და ბოლზა ვით მოვითმინო,
ვერ ვგრძნობ წყალ ნარევეს, მე ეს უტვინო,
და ფასიც კიდევ ათჯერ ზედ მეტო,
ხმასაც არ ვიღებ სულელი, ცეტო.
ამას ლა ვფიქრობ: — უშაპველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია.

ბავშვის საბლუზეთ მინდა სატინა,
წიველ ვაგზერდი ბაზაზის წინა...
ორ-სამ-ნაირი ვადმომადინა...
ფასი რომ მითხრა მთლათ შემაშინა,
ფასს ვინა ჩივის დამაკლო ზომას,
სიკვდილი სჯობდა იქ ფეხზე დღამას.
ამასლა ვფიქრობ: — უშაპველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია.

ფეხშიშველი ვარ, ეს არის ძნელი...
უნდა ვიყილო, არ მაქ საშველი...
იავე ფასის, ნახმარი, ძველი,
ვითა შემეძლოს, მიმიწვედეს ხელი,
საცა კი ვნახე ძველი, ნახმარი,
ფასი დაადგეს ოცი ქანჭარი...
ამას ლა ვფიქრობ: — უშაპველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

მწერალი.

ჩარლზ ლიუსი.

(თარგმანი)

მიველ ხუროსთან, ვითხე ფიცარი.
ფსი რომ მითხრა შუბლში ვიკარი,
ნახა მეძვირა, მორთო პირჯვარი,
ნეტავ გაგვლოთ მის ნაფიცარი:

შენმა მზემაო გაძვირდა ტივი,
იმის დახერხვას რატომ არ ჩივი!
ამას ლა ვფიქრობ:—უშეველია
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

მიველ მერკინის მილაზიაში
კვლავ შევეკარე კალა ტყვიაში...
ქესტი, ლურსმანი ასწია ფსაში
რადგან არ არის ნიხრის სიაში...

როგორც სურს ჰყიდის მისია ნება
ნიხრი დაედოს როგორ იქნება!
ამასლა ვფიქრობ:—უშეველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

ბავშვი ავათ მყავს მოსანათვლელი,
ვაპ თუ გამიხდეს დასამარხელი,
სწრაფათ მოენახე ოჯახის მღვდელი.
ამ თავით მთხოვა მან სასყიდელი.

მონათვლა წინათ ცოტა ღირდაო
დღეს ყველაფერი გაგიძვირდაო,
ამასლა ვფიქრობ:—უშეველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

სითაც წაველ დამხუდა ძვირობა
თითქოს შეუკრავთ ყველას პირობა,
ამისთვის გემართებს გმირთა გმირობა,
რომ არ დავგვიმდეს მართლა ვირობა.

თორემ მოგველის კვლავ განსაცდელი
გათამამდებმ მით უფრო მეგელი,
და ეს იცოდეთ:—უშეველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

ან. განჯის-კარელი.



ერთხელ, დილა აღრიან მომესმა ჩემი ოთახის
კიბიდან მძიმე ქშენა და ხიხინი. გაიღო დერეფნის
კარები და გავიგონე ქალის ჩუმი ხმა:

— აბა, ჯონ, შენ იცი როგორ ეშმაკუთათ
მოიტყვევი! ვიცი რომ შეგიძლია თავი ყოჩაღათ
მოაჩვენო!

გაიღო კარები და ჩემს ოთახში შემოვიდა მა-
ლაღა, მსუქანი ქალი, პატარა ხმელ-ხმელი ბავშვის
თანხლებით. სწრაფათ მოიხადა სამოსი, გადააძრო
ბავშვს ქუდი და იკითხა.

— ბატონი რედაქტორი სახლშია?
— დიხ, ქალბატონო, სახლში გახლავთ, მიუ-
გე მე.

— თქვენ თითონ ბრძანდებით რედაქტორი?
მე თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიე.

— უპ, ღმერთო!—წარმოსთქვა მან და იქვე
სკამზედ ჩამოჯდა.—ვფიქრობდი, ვერ ამოვაწვე ამ
კიბებზე მეთქი!

მე გავიღიმე და თანხმობის ნიშნად თავი და-
ვიქნიე.

— თქვენ ხელათ ამ ბავშვს? მკითხა სტუმარმა
მკირე ლუმილის შემდეგ.

— ვფიქრობ თქვენი ვაჟია! მშვენიერი ბიჭი
სჩანს! მივუგე მე.

— დიხ, თანაც უნდა იცოდეთ რა ნიჭიერი
და მოხერხებულია, ნამდვილი მელაა. არ არის ისე-
თი რამ, მაგან არა იცოდეს. ჯერ რვა წლისაც არ
არის და უკვე ლექსებს სწერს, წერილებს აგზავნის
და ქიანურზეც უჭრავს.

— თქვენ უნდა იამაყოთ ასეთი ვაჟით. მივუ-
გე მე.

— დიხ, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მისგან რა-
ღაც უჩვეულო გამოვა. აბა, ჯონ ჭიანისი, სთქვი
ლექსი გემზე მოცურავე ბავშვის შესახებ რომ იცი.

— არ ვიტყვი! გადატრით განაცხადა ჯონ
კინსიმ.

— ცოტა მოარცხვია, შენიშნა დედამ. დღეს
ხუთშემთხედ ვერსი ცხენით გამოიარა და ალბათ
ძლიერ დაიქანცა ჩემი პატარა. მე არც ის გამიკვი-
რდება მუცელში ქიაკ რომ გამოაჩნდეს.

— დაიღუპოს ჭიები! დაიბუზღუნა ჯონ კინსი და ქულს მაგრა უტანია.

— საშინლათ მორცხვობს ჩემი ბიჭი უცხო-სთან, ბატონო რედაქტორო, მაგრამ მალე მიიწვევა. მეც სწორეთ იმისთვის გეხელოთ, რომ მინდა გა-ზოხვით—არ იკისრებთ თქვენ ამისგან მწერლის ვა-მოყვანას?

— დაღუბე იქით მწერალი! მე არა მსურს ბე-ბერი, ჭაჩალი მწერალი ვიყო! უკმაყოფილოთ წარ-მოსთქვა ჯონმა და ჩემი მაკრატლით კბილების ჩი-ჩენა დიწყო.

— ბავშვებს არ ესმით თავისი სარგებლობა, — განაგრძო დემა. ამას ან მქადაგებლობა უნდა, ან შესანიშნავი ვექილობა, ან მდიდარი ექიმობა. მაგ-რამ, ვინაიდან მწერლური ნიჭი და მოწოდება ემ-ჩნვეა, ჩვენც გადაწყვიტეთ მისგან სწორეთ სახე-ლოვანი მწერალი გამოვიყვანათ. მე მგონია პირ-ველ წელიწადს თქვენ მას კვირეში ექვს დოლარზე მეტს არ დაუნიშნავთ ხარჯების ვარჯიშე, მაგრამ პირველ ხანებში ღენერალი ჯეკსონიც ამის ნახვევარს არ იღებდა.

— ქალბატონო, — დავიწყე მე, როცა ის სუ-ლის მოსაბრუნებლათ შეჩერდა, — მე დიდის სიამოვ-ნებით ავიყვანე თქვენს შვილს. ის, როგორც ვამჩნე-ვართლა ნიჭიერი ბავში უნდა იყოს, და იმედი მაქვს მისგან სახელოვანი მწერალი დადგება.

— მაშ თქვენ თანახმა ბრძანდებით?

— დიახ, თუ კი მიიღებთ ჩემს პირობებს.

— ეს რა პირობებია?

— ხომ ხედავთ მე მარცხენა თვალი არა მაქვს?

— დიახ, ვხედავ.

— თქვენი შვილიც ვერასოდეს ვერ გახდება დიდებული მწერალი, თუ მარცხენა თვალს არ გამოიძრობს. თუ კარგათ ჩაუფიქრდებით, უთუოდ ვიხსენებთ, რომ თქვენ არასოდეს არ გინახავთ სა-ხელოვანი მწერალი, რომელსაც მარცხენა თვალი ამოიღეს. ამას ეკონომიის გულისათვის შეებთან. ცალთვალა დაბიანის იმისი ნახვევარი სინათლე სქი-რია, რაც ორთავლიანს. გარდა ამისა, ის ვერც ად-ვილათ ვერ ამჩნევს ნემსებსა და ლილეებს თავის სკამულში. ყველაზე უკეთესი და უადვილესი საშვა-ლება თვალის გამოსათხრელად არის წითლად გახუ-რებული ნემსის წვერი.

— ღმერთო მოწყალეო! წამოიძიება სტუმარმა.

— უმაკველია შენიშნავდი, რომ თავზე ერთი

ბეწვიც არა მაქვს და იქნებ იფიქროთ ეს ავათ-მყოფობისაგან მომივიდა? სრულიდევს კარგი, როდესაც მწერალს უნდა დაიჭიროს რომელიმე შორეუ-ლი აზრი, ის უთუოდ თავს იფხანს. თუ თავზე თმა არის, უუკველია ფხანას ხელს შეუშლის. ამი-ტომაც თმებს იღლევენ. ხოლომე განსაკუთრებული საწოქვის საშვლებით და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია დაუბრკოლებლათ და დროს დაუკარგა-ვათ იფხანოს მწერალმა თავი.

— ნუთუ?

— დიახ. ყოველივე ეს სრული ჭეშმარიტებაა! დარწმუნებული ვარ თქვენ იმასაც შენიშნავდით, რომ ცალი ფეხს მოკლე მაქვს. თუ სინამდვილე არ აგისენით შეიძლება თქვენც ეს გარემოებაც რაიმე უცაბდე შემთხვევას მიაწეროთ. ყოველი მწერალი, ბატონო ჩემო, მეოთხე სართულში ცხოვრობს, თუ სახლს მეხუთე სართული არა აქვს და განზრახ იმოკლებს ერთ-ერთ ფეხს, რომ ამგვართ გაიადვი-ლოს კიბეებზე ასვლა ჩამოსვლა. თქვენც, იმედი, ადვილათ მონახავთ ექიმს, რომელსაც შეეძლება თქვენი შვილისათვის აღნიშნული ოპერაციის გაკვე-თება.

— გეფიცებით, ამის მაგვარი არასოდეს არა-ფერი გამიგონია! წარმოსთქვა განცვიფრებულმა სტუმარმა ქალმა.

— დარწმუნებული ვარ თქვენ შენიშნავდით, რომ მე მაკლია ორი წინა კბილი. შემტლარი იქ-ნებით, თუ იფიქრებთ, ვითომც ისინი ჩამტეხოდეს, ან ჭიას გამოეხრას. ისინი განზრახ ჩანამტერყვია, რომ ამით საშვლება მომცემოდა ხუთი არშინის მანძილზე ვადაფურთხებისა. ჩვენი კონგრესის უკა-ნასკნულ სხდომაზე გამოკვეთულ კანონის თანახმად, მწერალი, რომელსაც არ შეუძლია ხუთ არშინზე ვადაფურთხება, ვერ მიიღებს უმარკოთ კონგრესის სხდომათა ანგარიშებს.

— ნუ თუ ეს შესაძლებელია? განცვიფრებით წარმოსთქვა შეშინებულმა დედამ და თვალები ფარ-თედ გაალო.

— მაშ ვერც ქალბატონო, — განვაგრძე მე, — ახლა იცით დაახლოვებით თუ რა მოკლის თქვენს შვილს. თქვენ თითონ განსაჯეთ და აირჩიეთ: ღირს მისთვის თუ არა მწერლად გახდომა. მე თქვენი ბავში ძლიერ მომწონს და თუ თქვენი სურვილიც იქნება...

— ჩვენ, ბატონო რედაქტორო, უმჯობესია

მასწავლებლების მოწვევა
 იყო მისი ნება,
 ინსპექტორს წააღებია
 მისივე ბრძანება,
 და თითონ შემოაძვრინა
 კაცი ვინც ენება.
 სამას მანეთს მას აძლევდა
 ასი მან იგება,
 ასე, ერთსაც და მეორეს
 უწყო ხერა და ენება,
 (ეშმაკიც უნდა იცნობდეს
 თუ გაახსენდება).

მან თავადი, ჩვენებური,
 ჩიჟირა ხელში,
 ფული ართვა შკოლისათვის,
 და ჩიწყო ხერელში.
 ანგარიშს მას არეინ სთხოვდა
 იმ ძველ პირობებში,
 უკანტროლოდ პარბაშობდა
 უძაღლო სოფელში.

შკოლის შენობის მასალო
 გამოინახა ძველი,
 მიაკოწიწ-მიაკერა
 შექმნა სახლი გძელი.
 (შიგნით დამპალი მასალო
 გარედან კი კრელი).

მებაღისა ჯამაგირსა
 ის იღებდა სრულად
 ანგარიშებში ჩასწერდა
 ჩუმად დაფარულად.

ამნაირად გაატარა
 მან წუთი სოფელი,
 ხალხმა იცნო მტერ-მოყვარე
 კაცი ენა კრელი.
 სიმუღამით დაუნგრის,
 ნღობა, საფუძველი.

სკოლიდან გამოაბრძანეს
 ჩვენი სმოტრიტელი
 მოჩურჩულე ვაებატონი,
 ყრმათა გამროზგველი.
 (მაშინდელ ყრმათ ახლაც კი აქვთ
 ზურგი ანაწველი).
 რეაქციამ მოუმართა
 ბოლოს იმას ხელი.
 ხალხისაგან გაიკიბულსა

დასდვა საფარველი,
 გიმნაზიაში უშოვა
 რბილი სარეცელი.
 დღეს თავს ბედნიერათა გრძნობს
 დიდი აქვს „სახელი“
 სოფელსაც გადააფიწყდა
 მისი საქმე ძველი,

ახლა ვითომ, მოყვარეა
 მტერი გუშინდელი.

კიკოლა ბიჭი.

კაცხი. თუმცა არა ვართ ჩვეული,
 სტვიროჯან ერთად ღლინსა,
 მაგრამ რას იზამ, შევთანხმდეთ,
 იქნებ ვშველოს ჩვენს ჭირსა.

მო, თავად დავითს ვეწვიოთ,
 (ვიცი ეცვლება ფერაი)
 და ჩვენებრ, მოურიდებლად,
 უთხრათ რაც შესაფერია.


გვითხრას მან, „იმიდს“ რას ერჩის,
 ან ბანკი რატომ დატია,
 რად ამოიღო მიზანში
 ჩარჩ-ვაკართ „კბილის მატლია“.
 ან მასწავლებლებს რათ სდევნის,
 რა დაუშავეს ასეთი,
 რა სკოლდეს, რომ არ იფუა
 იმან (ერთს გარდა) არც ერთი.

გაიგოს რომ აღარ არის
 დრო ის „ნეტარ ხსენებული“,
 მონები რომ მრავლად ჰყავდა,
 დიდი ქონდა მათზე გული.

ოდეს სიტყვა მისი იყო
 ბეჭედი და სამართალი,
 მისი ბამბაც ჩხრიალებდა,
 გლებების კი არც კაკალი.

რაც ჩაიღინა დასჯერდეს,
 აწი მაინც მოგვასვენოს,
 აღდგომა და ახალკვირე
 უშფოთველად გავითენოს.

ზახრუმა.



საქართველო
საზოგადოებრივი

მასწავლებელთა კრება სამტრედიისში



ბესოს ვენაცვლე ბესოსა,
ის სამტრედიის თვალია
ფეხის ჩლიქივი იცის მან
ზაკონის სამართალია.

მასწავლებელთა მამა
და ჭკუის დამრიგებელი
შე მის წინაშე მატლი ვარ
და კიაცელი, მზებნელი.

იხ. სტურუა.



მესტერიული

(სამტრედაისთვის)

უნდა შაირით გავართო
 გული სვედასა ჩვეული,
 სტერიი და გულა მოგსტებნო
 დიდი ხნით მივიწყებული.
 აღარ დავინდო არავინ
 დამხთური, შემოსეული
 და შევაჩვენო საჯაროთ
 გაიძვერა და წყეული.
 ვინ არ გვაპირდება დღეს შეველს
 მგელი ცხერის ქურქში ხვეული,
 ჩარჩი, ბობოლა, ცბიერი
 პირბადე შემოხვეული.
 ზოგი ჭორსა თხზავს და ზოგიც
 მათში ნაქები, რჩეული
 ბნელთა საქმეთა მოხელე
 დანოსის წერას ჩვეული...

მასწავლებელთა კავშირის
 ჩვენი ცნობილი პირები
 მამულიშვილთა ნუგეში
 სახელოვანი გმირები,
 აღზრდის საქმეზე ზრუნავენ
 კლუბებში, პროექტორებში,
 და ჟინს იკლავენ დღე და ღამე

კარტის თამაშში, კორებში
 აბა რა ვუთხრა მე იმით
 პედაგოგებად ხმობილებს,
 ბესუა-ნაჭყეპიების
 მონა-მორჩილებს, ქმობილებს?
 რათ დაავიწყდათ ნეტავი
 ამღვრდელი უნდა აღზრდილი,
 ამ ორის ბინა იქა,
 სად ქელებია, სადილი.
 ნორჩი თაობის იმედი
 ვერც არის იგი ილია
 აბოკატობა იმისთვის
 შექმნილი, მოგონილია.
 მაგრამ შეერთდა ყველი
 კლუბ-პროექტორის გმირები
 და უზღეს მამულიშვილთა
 ნათქვამი, დანაპირები.
 ხალხს ჯიბვირებათ ნათლავენ
 ზოგ-ზოგი ქალბატონები,
 ქუთათურ ღების საამო
 საქმე ქნეს გასაგონები.
 ბრძოლა გაჩაღდა უსწორა
 შეუპოვარი მედგარი,
 ყველა ფრონტიდან დაიძრა
 მამულიშვილთა ლაშქარი.
 ვაქართ აისხეს ფარხმალი
 საქმე ქნეს გასაშტერები,
 მაგრამ დამარცხდენ სასტიკად
 სახალხო ღუქნის მტერები.
 ხალხსა ებრძვიან მშრომელსა
 ისედაც დაუძღვრებულს,
 სულს ხდიან აღარ ინდობენ
 შიმშილით გულშეწყუხებულს.
 სად ხარ „დარაჯო“, კომპალი
 მოიმარჯვევი ძამია,
 რო წაამწარო მსუნაგებს
 რაც ხალხის შეუქამია.
 უნდა შაირით გავართო
 გული სვედასა ჩვეული,
 სტერიი და გულა მოვტებნო
 ხანდახან, მივიწყებული.

ალი.

მოხსენება ხონიდან.

IV.

შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში.

კვირა დილა იყო. „ბინძური“ მზე უხვათ აფრქვევდა დილის „ბინძური“ სხივებს ჩვენს ცოცხელ დედა-მიწას; მე კი ღრმა ფიქრებში ვართული ნელის ნაბიჯით მივემართებოდი ხონის პატარა კოპწია ბაზრისაკენ. ბაზრის შესავალში „ხონის“ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის“ ბინა შევამჩნიე.

ძალიან შიშა. დიდი ხანია ვფიქრობდი ამ დაწესებულებაში შესვლას და მისი ავკარგის გაცნობას. ბედნიერი შემთხვევა მომეცა ამ განზრახვის სისრულეში მოყვანის და მეც შეუხვებე.

— შეიძლება? შევეკითხე კარებთან მისვლისას და შევჩერდი.

— მობრძანდით! მომესმა ყრუ ხმა ივანე გორდაძისა.

დინჯათ შევედი და მივესალმე გამგეობის წევრთ. ბ-ნი გორდაძე გავკვრევებული თვლებით დამაკებრდა: „მე რა ჩიტი მოფრენილას, საიდან და სადაურიო“, ჩიჩურჩულა თავისთვის, უცნობი რო დამინახა და მის მარცხენა მხრით მჯდომ მასიკო ქელიძეს გახედა. უკანასკნელმა კი იმ წამსვე მივლო.

— სალომი ბ-ნო აბო, ვადმოძახხა მან და გორდაძეს მიუბრუნდა: იცნობდეთ, მე გახლავთ ეშმაკის ადგილობრივი მოადგილე—აბი.

— ეშმაკის მოადგილე? ჩაჰკითხა გორდაძემ და ერთხელ კიდევ ამხედ-დამხედა. მაშ ჩვენ რაღა ვყოფილვართ?

— ფრთხილათ იყავი! ოდნავ ვასაგონი ხმით ჩასჩურჩულა მოსიკომ, არა წამოგცდეს რა, თორემ..

— დაღრმ ნუ გაქვს: არამც თუ ეშმაკის მოადგილეს, თვით ეშმაკაც ყრულზე გავსტურებ თუ კი დამპირდა.

მარჯვენა ულვაშში ჩამეკინა.

— რაზე ვასჯილხართ, ბ-ნო აბო,? შემეკითხა ივანე.

— თქვენმა ამხანაგობამ დამაინტერესა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რ. წიგწივადის წერილები წაიკითხე „თან. აზრ.“ და მოსიკოს პასუხები „სახალხოში“.

ბ-ნი მოსიკო სახეზე წამოწითლდა; ამკარა იყო არაფრათ იამა წიგწივადის ხსენება და დასაწყლებული თვლები ივანეს მიაპყრა, „მოსინე ეშმაკის კბილებისაგანო“. ევედრებოდენ ეგ თვლები ივანეს.

— რომელ წერილზე ლაპარაკობთ? უმანკოთ ჩამეკითხა ივანე, თითქო არა იცოდა რა.

— აი, იმ წერილებზე, რომლებშიაც შაბიამანის გატან-გამოტან-გაყვიღავზე იყო ლაპარაკი.

— აჰაა... მახსოვი, მახსოვის... მერე რა, ბ-ნო აბო, ნუ თუ თქვენი გამპყრიახი გონება ვერ მიხვდა რომ... რომ...

ივანეს ენა დაება და „რომ“, „რომ“-ის თქმის მეტი ვერა მოახერხა რა.

— რა ლმერთი გიწყრება კაცო, რომი კი არა ლიკიორი აღარ ვინდა, უთხარი რაღაცა, უბასუხე... ჩურჩულით შევედრა მოსიკო და ადგილზე აწამაწყურდა. რომის ვაგონებაზე ივანეს სახე გაუბრწყინდა, თითქო ზღვაში იხრობოდა და მაშველ ღუზას წააწყდა.

— თქვენ რომი მიირთვით, ბ-ნო აბო, უმაღლესი მარკისა; ამ ჩემი მეგობარ-ამხანაგის მოსიკოს გასტრონომიულ მაღაზიაში ყოველგვარი სასმელები იშოვება: რომი, ლიკიორი, კონიაკი, შამანიური და სხვა და სხვა, სხაა-სხუპით მომაყარა ივანემ.

— რაებს რომაე კაცო!.. სად არის ახლა სასმელები, ნუთუ დავაიწყდა, რომ მაგარ სასმელებით ვაჭრაბა აღკრძალულია და ჩემს მაღაზიაში ახლა, ცალიერ ბოთლების გარდა, ვერას ნახავ...

— ბ-ნო აბო, ისეთ რომს დაგაღვიწინებთ, რომლის მსგავსი თქვენს სიკოცხლეში არ ვაგესინჯოთ, ვანაგრძობდა ივანე.


— გამაღობთ სტუმართმოყვარეობისათვის, მე სიფხიზლის საზოგადოების წევრი ვარ და მაგარ სასმელებს არ ვეხალციბი. რომი არ მინდა, მე შაბიამანზე მოვასვენებ.

— შაბიამანზე?.. ესე იგი.. შაბი-ამინზე... მოსიკო, იქნებ შენს მაღაზიაშია დარჩენილი შაბიამანი?..

— შაბიამანი და შავი ქვა შენს თავს!.. საიდან მექნება ახლა შაბიამანი..

— მოეძიე, გააწყვეტინა ივანემ, იქნებ საღმე იყვეს მიგოწყებული, აკი ამას წინეთ ვნახე ბარე შვიდი გირვანქა, „ვილაქას დარჩენილია“, იქნებ კიდევ თარა ვინმეს?..

— რა განხუბებთ, ბატონებო, მე შაბიამანის



გამოცანა

სასყიდლოთ კი არ მოგსულვარ, არამედ მინდა გავიგო მართლა გაყიდა მოსიკომ ამხანაგობის შაბიამანი გირვანქა 60 კაპეკათ, თუ წიგწივამე სტყუის. წიგწივამე სწერს, რომ მოსიკომ ამხანაგობის შაბიამანი თვის მალაზიაში მოიტანა და ნაცვლად 25 კაპეკისა გაყდა გირვანქა 60 კაპეკათ, ამხანაგობას კი ხუთ-ხუთი შაური მიაჩრთვა გარვანქაზეო.

— ივანე, უპასუხე რამე, უთხარი...

— რა არის დავიჩემებია „ივანე“, „ივანე“, შენ თვითონ უპასუხე...

მასიკოს სიმწრის ოფლი გადასკდა.

— აკი ვწერდი, ბატონო აბო, ე. ი. პასუხს ვაძლევდი წიგწივამეს... მხოლოდ 7 გირვანქა გავყიდე სამ-სამ აბაზათ. ამხანაგობას ამით ზარალი არ უნახავს, რადგან გირვანქაზე 25 კ. ამხანაგობის კასაში შევიტანე; ამის უარს არც წიგწივამე იტყვის.

— სწორეთ, სწორეთ... მართალს ამბობს, დაემოწმა ივანე.

— აქ თუ კი ვინმემ ნახა ზარალი, ეგ მხოლოდ მყიდველმა გლემა, მაგრამ სამდურავს ვერც იგი იტყვის: სხვაგან გირვანქას მანეთათაც კი ვერ იშოვიდა.

— ეგ ყოველივე კარგი, მაგრამ გქონდათ კი ამის უფლება?

— უფლება?... უფლება...

— უფლების შესახებ რას ეკითხებით, ბნო აბო, მაგი უნივერსიტეტში არ ყოფილა და არც არავითარი უფლების კურსი არ გაუვლია...

— რას მიედ-მოედები?! ამისხენით რა უფლება გაქვთ ამხანაგების ქონებამს ისე უტკიროთ, როგორც თქვენს საკუთარს?

ივანე წამოდგა, ერთი ნაბიჯი ჩემსკენ წამოდგა და მრისხანეთ მომახალა:

— თვითონ შენ რა უფლებით გვთხოვ ჩვენი მოქმედების ანგარიშს?... შენ ამხანაგობის წევრი არა ხარ, მიბრძანდი.

— მივბრძანდე აქედან?! კეთილი, შეუბღვირე შეცა და გაიღვია თქვენმიერ მოძებულმა აბრეშუმის ძაფით ნაწინავემა მათრანმა.

— ტლაშშშ, ტლაშშშ... გაისმა ჰაერში, ზურგ ახურებული ივანე ერთი შეხტა და ზე ჩაყვინთა ფულის სიკვრიში.

— ტლაშშშ... კვლავ გაისმა ზედი-ზედ რამდენჯერმე და მოსიკომაც ლექური ჩამოურა. ერთხელ კიდევ მოვიმარჯვე მათრახი, მაგრამ ამ დროს მოსიკომ ისკუპა და შაბიამანის იქ დარჩენილ ცალიერ ბოქვაში გადაეშვა.

თქვენი უეშმაკებულესობის მოადგილე ხონში

აბი.

ბატონ ეშმაკს მოვასხენებ გამოცანას ზესტაფონით და თუ ახსნას, მათრახის კუდს მისთავაზეებს მთელის ღონით.

— შვი სპქით ნაქებია...

ჩვენში არ სჯობს კაცი ორი... (სხვაგანაც ვერ აჯობებდენ ფები თუ კი ქმონდეს სწორი!)

დიდ კაცებში ნამყოფია ჩინებულიც ქონა ბინა. ხუთი, მკვიდრი ბიძაშვილი ოთხ-ოთხი თვით ჩააჯინა.

სისამაღლეს რომ მიუხვდენ ერთი წლით შორს მიიმალა.

ახლა კი „სოციალისტობს“ დაპარვა რა ძველი ძაღლი.

ორ-ორი თვით იცდის ყველგან, სანამდე არ გაუგებებ... მერმე მისით თუ არ წავა

ბარ-ნიჩაბსაც აუღებენ.

სანიტარად ნამყოფია ტრამეაში ახლა დადგა...

უიმედო არსებია შვა ტანის და ახალგაზდა.

ამხანაგებს არ დაინდობს, არც ასრულებს დანაპირებს.

თუ სიფრთხილე დაივიწყეთ მენდეთ მრავალს ავადირებს.

იმ დროს, როცა შავ-კაცობდა, ცეცხლი მისცა მის სახლ-კარსა,

შემთხვევით თუ არ ჩავგვეტო გვასახლებდა მთელ მის გვარსა.

ნათესაობა არ იცის... ერთად ერთი სწამს ნათლია სიბინძურე აქაც შეხვდა...

გალანდა და გაათრია.

— დილო ეშმაკო, ამა ყმაწვილის როდესაც ახსნა ნასაქმი მრული, ჯოჯოხეთისკენ გასამგზავნებელს შენც მიაყოლე მათრახის კული.

ლუწი-კენტი.

ღებულები.

ფოთი. ქ-ნ აგენტისამ „მხედრული“ მოსახრებით უარყოფილი სამოქალაქო წესით უბრძოლველი ცხოვრება და მიიღო „სამხედრო ვარჯიშობა“. ქ-ს ახალი ნაბიჯი პრაპორჩიკის რწევით მიუღია და გადაუდგამს კიდევ, რომელთანაც მუდმივით „ვარჯიშობს“ და ჩინებულათაც შეუთვისებია თურმე „Направо налево“ (მარჯვნივ და მარცხნივ ბრუნვა) „шагъ передъ шагъ назадъ“ (ნაბიჯი წინ ნაბიჯი უკან) ხოლო სიტყვიერ მეცადინეობაში („словесние занятия“) ცოტათი კაქლობს და საკირო პირების მაგიერ ბ-ნ აგენტის სახელს ასხენებს ხშირათ...

საბრალო აგენტი დადის ნაცნობებში, დაეძებს „გაქცეულ ბედნიერებს“ და კითხულობს გულდაწყვეტილი: „ჩემი ცოლი არ გინახავთ?“. ნაცნობები თანაგრძნობით ზედებიან და უპასუხებენ, „თქვენი ცოლი არც ჩვენ გვინახავს და ვერც თქვენ ნახავთ“... ამის გამო ქალაქში შიში ჩამოვარდა და ფიქრობენ ვაი „მოდის“ მიმდევარმა ქალბატონებმა ესეც მოდათ მიიღონ და მიჰბაძონ ქ-ნ აგენტისასო.

სუფსიდან საკუთარი კორეპოდენტი გვატყობინებს: მოღალატე სასიძოს იმედ ვაცრუებულ სარძლოს გათხოვილმა დამა, რომელსაც შვამავლობა გაუწიბილა, აღდგომას „ვიზიტებზე“ კაზხანით მიულოცა თავში და თავი აღდგომის კერხივით წითლათ შეუღებავაო.

ბატარა ფოთიდან, რადიო ტელეგრაფით იტყობინებიან „მეპროტესტე“ ანდრო მესხი ქორიკანა ქალების წარმომადგენელია და არა იქ მცხოვრებ გლეხების, რომელთა სახელით „პროტესტს“ აცხადებს „ეშმ. მათარახის“ ნომერშიო.

ქალაქის აფთაქის ომი დასრულდა. გენერალ გერზევესკიმ განდევნა კამენდანი მხეიძე და სავსებით ჩაიბარა მთელი შტაბი. შტაბის წევრებს უწინდელი ბრძოლის მადა გერზევესკის სიმატიანზე შეეცვალათ მხეიძის წასვლის შემდეგ. სააგენტო ფიქრობს მდგომარეობა ქმნის იღვიასო...

ამავე ტშამმა სტრატეგიული მოსაზრებით პრაპორჩიკ ილიკოსა და ვახმესტერ ბაჩილავას მეთაურობით იერიში მიიტანეს ჟურნალ-გაზეთების

კიოსკზე და მოინდომეს დამტარებელი სიკოლაიშვილის დატყვევება. ბრძოლამ „ნამ“ დღეს“ გასტანა, მტრებმა 17 ფორტი აიღეს მარა ნიკოლაიშვილი მე-18 ფორტზე გამაგრდა და დაამარცხა კიდევ ილიკოსა და ბაჩილავას არმია. კიოსკი უვნებლათ დარჩა.

ბუტუნას სააგენტო.

ქუთაისი. რიონში გაცხარებული თევზაობა. საბედნიეროა წყალიც მდვირია. დაკვეთილია ათასი ცალი ზუთხი; ორაგული, კალმახი და სხვა თევზეულობა, ვინაიდან მისის პირველი ნახევრიდან იწყება თავდა-ზნაურთა კრებები, ბანკის არჩევნები და სხვ. და სხვ. და სხვ.

ქუთაისი. „ცისფერ ყანწების“ შესახებ გრივოლ რომაძიქიმე გამართა თავისი ლექცია. „შე აღმანახში მოთავსებულ პირველ თქმას“ და საზოგადოთ მის პორნოგრაფიულ ნაწილს არ ვეთანხმებოდი, მაგრამ უმჯობესად ესკანი ამის შესახებ ცალკე ლექცია გამეშართა, ვიდრე ამის წინააღმდეგ გაზეთის საშუალებით პროტესტი გამოემყვადებიაო. მიზანი სავსებით მიღწეულია: თეატრი სავსე იყო.

ფოთი. შინატიესტებს განზრახვა აქვთ მესამეჯერ გამოაცხადონ მდღერების რეკვიზიცია. როგორც გამოირკვა ზოგიერთა შემოღებულები კიდევ იმალებიან თურმე აქა-იქ.

ველისციხე. „შმა ძმისთვისა, შავ-დღისთვისაო“ ნათქვამია და სწორეთ დღეს ისახელა თავი ჩვენმა ვაქარმა „ეშმაკ-გიომ“ ხალხი პირდაპირ ლოცულობს მასზე, ვინაიდან მარტო ის ჰყიდის მნ მართლად ფუთ შაბიამანს.

ნავთლული. (გამანაწ. ლაზარეთი). თანახმად წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარ რუმუნტულის ბრძანებისა, ერვანდ ფაშამ იერიში მიიტანა გამანაწილებელ პუნქტში მოსამსახურე „სამოზვანცებ“ აფიკერ პოლიკავნიკებზე, რომელთაც ულტიმატუმი წარუდგინა იარალის და პაკონების აყრისა; წინააღმდეგ შემთხვევაში კამინტებიდან გადაყენებით დაემუქრა. ერთმა კაპიტანმა მოსკოვს მოასწრო გაქცევა, დანარჩენი უბრძოლველად დაიბდნენ; მხოლოდ პორუიკ რუმენ ბემი იერიში მოიგვრია და 7—8 მდლოზზე გამაგრდა. სარწმუნო წყაროებიდან ირწმუნებთან, რომ ამ დღებში გააფ

თრებულ იფრეშებს მიიტანს ერვანდ ფაშა 7--ნნ-ზეო, რომელიც რუბენ ბეის ბედს გადასწყვეტს, რითაც დიდათ აღშფოთებულია სამხედრო პირთა „ლიუბიტელნიცების“ რაზმი—მდგომარეობა სერიოზულაა.

იქიდანვე. ზოგიერთი „სათნოების დები“ დამის 10 ს.—მ საათამდე თავგების დაქვრით ვარჯიშობენ, მეტად თავი ისახელა კოლონაშვილმა.

იქიდანვე. საოჯახო ნაწილის გამგე ფონ შიქრიუს დერკუმარ-ლეფერ-იტოვს, უმაღლესი სანიტარული მთავრობის გადაწყვეტილებას, კვირეში ორი დღე მარხულობისა, ეკოტავა და დაადგინა—კვირაში შვიდი დღის მარხვა, რომელ დღეებში, ჰუნკტში მოსამსახურეთ (გარდა მკირეოდენი გამონაკლისა) უნდა ეძლიოს მოღვაწარშავი ბრინჯი, რასაც ზოგიერთი აქაური ექიმები საუკეთესო ნაოყიერ ნივთიერებათ აღიარებენ ადამიანის ჯანთრთელობისათვის.

ჯიმშერ.

რბთ ატირდა ველისცისე?

აქვითინდა ველისცისე,
ცრელი ჩამოსდის მდულარე,
დავკარგეთ მამასახლისი
სევიანი და „მწუხარე“.

დავიღუბენით! გვიშველეთ!
ვინა ხართ, ხალხი ღვთიანი!
კარგა ხანია არ ვიცით
სადა გვყავს მამა კვიციანი.

ამბობენ, ვიღაც უდნურმა
დამოსი დაუწერაო,
მაგრამ ჩვენ „შვილდის იმისას“
ეს ცნობა არა გვეჯერაო.

იქ წერებულა: „გიორგის
უყვარს ფულემბის ქამაო ..
(რას ჩააცივდენ? ხალხის ფულს
ვინ გაუფრთხილდა სხვათაო?)

ზოგიერთებზე ნაკლებათ
ესეც არ სწიყნის ხალხსაო,
აგვიკრო, აღარ გვისვენებს
არც კარს და არცა სახლსაო,
ამიტომ მე და ჩემთან კი
ეს მთელი ჩენი სოფელი

გთხოვთ, რომ კვლავ შენსახლსაც
არ დაამტკიცოთ ეს მგელი!“

როცა გაიგო „მამილომ“,
რომ მართლა არ ამტკიცებენ
და ალაღ-მართალს, საწყისა
პირიდან ლუკმას სტაცებენ,
მოგვკოლდა, თავსა უშველა,
დანამწუხრ განამწარია.
ვეღარ გავიგეთ რა იქნა:
ცოცხალია, თუმკვლარია.

ნეტავ ვინ იყო ის მანე
დასწამა ალაღ კაცს ცილი
და მოაშორა ჩაგრულ ხალხს
„გულწრფელი მამულიშვილი“?

მეხი.

წერილი მამასთან.

ძვირფასო ბაბა!

3-დ მოგიკითხავ სიყვარულით, ღმერთმა ას აღდგომას კილო დაგასწროს ზღაროვით და ჯანსაღით. მომიკითხე დედა სიყვარულით, ვაკოცებ ძვირფას დიდა ფატის, ჩემს ძმებს და ყველას.

მე ჯერ ღვთისა და თქვენი იმედიტ გვარინათ ვარ. ჩემო ბაბა, მივიღე შენი წერილი და ვისმინე რაც ეწერა, მარა უსამართლოთ მენდური. 25 მანეთი თვეში, წელიწადში კი შეადგენს 300 მანეთს, მარა 70 მანეთი რო მემლოდა მიხეილ ხუცისას, მაშინ მეტა მრჩებოდა. დღეს ყოლისფერს ცხელი ეკიდება. ფულს თითქო ნომერი აღარ აქ. იანვრიდან 4 მ. 38 კაპ. მომიბატეს, მარა თუ მანამდე მ—4 მანეთი მიხედობოდა შტრაფი, ახლა 8—9 მანეთით ძლივს გამოვდივარ. თებერვალში ყოჩაღათ გამოვედი. მომიწია სულ მ მანათი. დანარჩენ ჩემ ამხანაგებს თითო თუმანი დაუპირეს. შენ, ბაბაჩემო, გეიკვირებ: ვინ ეშმაკი გაჯარიმებს, რეზაო? მიყურე და გეტყვი: აქ ლაზარეთს ათასი ჟმფროსი ყავს. ყველაზე უფროსი კი მთავარი ექიმიო. იმის დეშტრაფულს არავითარი მანიფესტი აღარ შველის. შეუბრუნებ სიტყვას, ჰაიდა სამსახურიდან. ფულს მინეც გამოიურიცხავენ. სამე მკვტარი თავი რომ დანიხაონ, დაბალი მოსამსახურე უკვე პრიკაზშია გატარებული და შტრაფი ზრუგზე აქ დაკრული. დაჯარიმებაში დიდ სიმკაცრეს იჩენენ, მარა

გადახდევინებაში სულგრძელები არიან. პრისტავ-
მამასახლისოთ ყელში არ გეცემინან; ვაცლიან, და
ჯამაგირის აღების დროს გამოგირიცხავენ. შენ რომ
მწერა:—ფულად, რაკი სახლში არ აგზანი, ბანკში
უნდა ინახავდე, სალდათობა გიწვესო, განა მე არ
ვიცი?!! მიტომაა მულამ იმის ცთაში ვარ, რამენა-
ირათ თავს უშველო. ქეც დუუახლოვდი აქაურ
სმოტრიტლის პომოშნიკს. იგი ათას რალაცას მპირ-
დება. აქამდი მოწმობაში „დვორნიკი“ მეწერა,
ახლა ლმერთმა უშველას მას „ასინეტორი“ ჩამი-
წერა. წასვლა რომ მომიხდეს, მოწმობის ძალით
იქიკ „ასინეტორი“ ვიქნები. ხუთი თუმანი მას
მივაბარე. მოსამსახურებებს თითონ ის ართმევს
ფულს, შეგინახავთო, ბებრმა მოსთხოვა უკან, მაგ-
რამ არ მისცა:—თქვენ ალბათ საეშმაკოთ გენდო-
მილებათ, სახლში წასვლისას მოგცემთო. როგორც
ამბობენ, თვითონ „დვინფეტორთა კლუბში“ ინა-
ხავსო.

სხვა, ჩემო საყვარელო ბაბა, მინდა სალდგო-
მით ჩემი ჩამოვლით ვაგახაროთ, მარა სადათ აღარ
ჩამულა... ნასტაიაჩი აფიცერი ვიქნები. მტრებს
უნდა დოუყენო თვალები... ჩინებით და კაკარტი
ჩარიჩხინებული ვიქნები. აქაური მოსამსახურეები
სახლში რომ წავლენ ყველა აფიცრების ჩინით და
თოხაძის ლეკურით მიდის. ისეთ „სლუბაში“ პას-
ტაიანი ჩინის მატარებელი ევაკუცინის ბიროს კა-
ცებია... უწინ ესენი სალი ბლუზით იარებოდენ,
მარა დარა დაიწყეს წითელი ჯვრით დღეს პრაპორ-
ჩიკებია; სულ დეზებით და პაგან-ლეკურ-კაკარტი
ჩახლართულებია. მართალია, რევიზიის მოვლის
დროს, მალავენ, მარა აგი მორცხვობით მოსდით.
მალე იგენი პონკოლინკები გახდებიან... იმიზა რომ
აგი „პროიზვალტვა“ სხვაზე არაა დამოკიდებული,
თავიანთ სურვილზეა, რაც უნდა იმას დეიკებდენ.

ლეკურის ფასმა ნამეტარი ვიწია. არზუშში
და პერსიაში ვინც ვაგზავნეს დვინფეტორები,
ყველაყარ ლევერით შეიარაღებული იყო. თურმე
ბაცილები ისეთ ვაზდილან, რომ სულემა და ფორ-
მალინი ვეფერს აკლებს და ლეკურით უნდა მოპ-
კინტრო თავი. ამიტომ დიდი ვაპირებაა ლეკურის
შოვნა. ბიროს ჩნელებსაც გასაქარი აღვია ამ მხრივ.
სომეხთა კლუბში მომხდარ ჩხუბში, მათი რამდენი-
მე ლეკური დასახიჩდა. დღეს მარტო ეკონომ
თ-ძის ლეკურია მხარებაში. მას მორიგეობით ატა-
რებენ. ვაცხოენ იმის გამჟედის მამა, ყველა ყალი-
ბრის კაცს რგებს.

ჩემო ბაბა, შენ დღეა ცუტად ჩვენი ქუხნის
სხვენში რაც რომ ბაბუას ლეკურებია ჩამოყარე
და გამოიგზანე. ერთს ჩემთვის გავაკეთებებ და
დანარჩენს, ასიც იყოს, ვაცყალი. ოქროსავით დაი-
ტატუნენ, ღოღანდ სხენ ქონდეს ლეკურის. გარდა
ამისა, თუ არ შეგეზარება, მიხედს ხუცისას შეიარე
და დეზები გამოართვი, მას 15-მდი დეზი უყრია,
ხომ გახსოვს ოჩინი ჯორი ყავდა. არ შევაწუხებდი
აქ რომ იშოვნებოდეს. მაგიერში ჩამოუტან ჩარქ
სპირტის არაყს, ისეთს რომ ეშმაკაც ვერ დალიოს.
ღვთის მადლით, იმიზა ფულს არ ვიხდი.—შენთვი-
საც მაქ, ბაბა, სალდატსკი საზოგი და შინელი
ყველას ჩამოვიტანთ ცოტ-ტოტას. ვიცი ბაბა, გო-
გინხარდება ჩემი კია ანბავი და თუ გინდა აფიცრათ
მევიდე ლეკური და დეზები გამოიგზანენ. აღრეს
ყოლოთვის გადასხვაფერებულს მიგზავნით, რა უბე-
დურობაა რომ ვერ დაიმახსონეთ: ტიფლისი, რას-
პრედელიტელნი პუნქტი, ასინტეტორუ და მე.

შენი ერთგული შვილი კ. ჩახუშვილი.

საეშმაკო განცხადებები:

ქართულ ეროვნულ-ბურჟუაზიის გასამდიორებ-
ლათ ვყიდულობთ ყოველგვარ მიმართულებასა და
სქესისა და წლოვანობის მოღვაწეებს მხოლოდ
და მხოლოდ ქართველი ტომისა.

ფასება შემდეგაა:

- 1) პოეტი—(ალი 3 თუმანი თვიურ; წყვილი 5 თუმანი*).
- 2) პუბლიცისტი (კასრძის ყაიდისა) 2 თუმანი, ჩყულებრივი 15 მანეთი.
- 3) პედაგოგი 25 მანეთი.
- 4) საეკლესიო მწერალი 75 მანეთი.
- 5) ისტორიკოსი წყვილი 65 მანეთი.
- 6) ბელეტრისტი წყვილი 15 მანეთი.
- 7) დრამატურგი პირადი შეთანხმების მიხედ-
ვით.
- 8) კრიტიკოსი წყვილი 7 მანეთი.

*) შეფასების დროს მნიშვნელობა გასაყიდი საქონლის პართიულ რომელსაც აქვს. ს. დ. ფასი მეტია, ვიდრე ს. ფ-ზე.



9) ომის მიმომხილველი, ცალი 65 კაპ. წყვი-
ლო 1 მანეთი.

10) კორესპონდენტები არა გვევლირა, ვინაი-
დან სხვა ვაზნეებიდანაც ოილათ გამოვდივართ.

მსურველნი უნდა გამოცხადდნენ მოსკოვის ქუ-
ჩაზე „საქართველოს“ რედაქციაში.

საწარმოვო თანხა ჯერ-ჯერობით 100000
თანეთს უღრის.

ყოველთვის ხელმისაწვდომად გვსურს მისი გვერდები:
**პაღვ სწოგავს სამტრალიის პოოგა-
რახივის შუსახავ.**

საქორო სახლი:

ს ტ უ რ - ც ვ ა ნ ი ა K°

მიმართეთ დაბა სამტრედიაში.

სეზონი იწყება

კონსტანტინეპოლის აქვს ამ ზაფხულში
ფოთის მასლობელ ადგილებს დათვალი-
რება, კეთილ ინკობონ და მიმართონ ქალაქ
ფოთში, უმთავრეს ქუჩაზე

შენტაქსტათ ბუროს.

პოლიციის მხრით საშუა არაფერია.
მიიღებინა მხოლოდ მდიდრები განურჩევლად
ერთგვინება.

ქუთაისი

მომავალი ბრწყინებისათვის ვუიღულობით

ქლიარ ხალსაჰრალ ფასაგუი

„გაკვარ სულაგს“

რომელნიც კი ოდესმე ყოფილან ამა თუ იმ საზო-
გადოების წევრათ.

განსაკუთრებით საქოროა „ღრამატიული სა-
ზოგადოების“ წევრყოფილნი.

საწარმოვოდ გადადებულთა კარგა მოზრდილი
თანხა (100,000 კაპ.)

პატრისცემით: აქციონერები კიბა აბაშიძე
ალ. კრინიძე

ექიმი ბარხუდაროვის ხელმძღვანელობით ვყიდულობთ
**დამპალსა და აეროლებულ
თეგსს.**

ფასები ჩინებულია. ისარგებლეთ შემთხვევით. ვაქ-
რობა გავრძელდება ომის გათავებაამდე.
თფილისი. განმანწ. ლაზარეთი.

„აღეაჰამა“ ად იღმწევი იღნიქემსჟ
„აღ ებ (ღმწეჰამსმე) ლსჟ
ღმწე ისჟამსჟ (ღმწეჰამსმე) გნეჰამა „აჟ (ღმწე
ღმწე) ღმწეჰამსმე ემჰამს (ღმწეჰამსმე) გნეჟ
ღმწეჰამსმე ეჰამსჟიღმწე: ღმწეჰამსმე ღმწეჰამსმეჟღმწეჟ

„ღმწეჰამსმე ღმწეჰამსმე ღმწეჰამსმე“

ღმწეჰამსმე

ღმწე „ღმწეჰამსმე“ აღმწეჰამსმეჰამსმე ღმწეჰამსმე
ღმწეჰამსმეჟღმწეჟღმწეჟღმწეჟღმწეჟღმწეჟ

„ღმწეჰამსმე“

ღმწეჰამსმე ღმწეჰამსმეჰამსმეჰამსმე ღმწეჰამსმე

ღმწეჰამსმეჟღმწეჟღმწეჟღმწეჟღმწეჟღმწეჟ

